სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/77

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანის, პროფესორ ნიკოლოზ შავიშვილის 2023 წლის 20 დეკემბრის MES 0 23 0001740829 სამსახურებრივი ბარათის, დიზაინის საერთაშორისო სკოლის საბჭოს 2023 წლის 14 დეკემბრის №10 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2023 წლის №01-05-04/219 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ დიზაინის საერთაშორისო სკოლის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები და დებულების:

ა) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულია ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორია“;

ბ) მე-16 მუხლს დაემატოს მე-6 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დიზაინის საერთაშორისო სკოლასთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ცენტრია - სასწავლო-სამეცნიერო, ინოვაციური და პრაქტიკული დიზაინის ცენტრი „დიზაინ-აზროვნების სატესტო ლაბორატორია-შემოკლებით „დასტა ლაბ“ - ინგლისურად DASTA Lab.“.

2. დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები სკოლის სტრუქტურასა და საშტატო განრიგში და აისახოს უნივერსიტეტის ერთიან საშტატო ნუსხაში.

3. დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანმა უზრუნველყოს ვიზუალური კომუნიკაციის სასწავლო ლაბორატორიის დებულების წარმოდგენა დასამტკიცებლად.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი **დავით ჯაფარიძე**